

შპს „ტატო 2002“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დასრულებული წლისთვის

შპს „ტატო 2002“-ის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნები	31.12.2022	31.12.2021
აქტივები		
<i>მიმდინარე აქტივები</i>		
ფულადი სახსრები	180453	83359
სავაჭრო მოთხოვნები	529302	411265
სასაქონლო მატერიალური მარაგები	188012	147117

	897767	641741
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>		
ძირითადი საშუალებები	30702	32180

	30702	32180
<i>სულ აქტივები</i>	-----	
	928469	673921

ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი

მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	201852	173432
საგადასახადო ვალდებულებები	2893	4209

	204745	177641
--	--------	--------

მოკლევადიანი სესხი

	0	0
--	---	---

	0	0
--	---	---

სულ ვალდებულებები

	204745	177641
--	--------	--------

საკუთარი კაპიტალი

მოგება	700024	482630
--------	--------	--------

გადაფასების რეზერვი	23700	13650
---------------------	-------	-------

	723724	496280
--	--------	--------

სულ ვალდებულებები და კაპიტალი

	928469	673921
--	--------	--------

შპს „ტატო 2002“-ის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

კლიენტებისგან და დებიტორებისგან მიღებული ფული	4617937
კრედიტორებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	4137402
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	194889
გადახდილი გადასახადები	149876
გადახდილი დივიდენდი	38475
გადახდილი პროცენტი	201
წმინდა ფულადი სახრები საოპერაციო საქმიანობიდან	97094

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

ძირითადი საშუალებების შეძენა	(0)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(0)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

სესხის მიღება	1500
სესხის დაფარვა	1500
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	0
ფულისა და ექვივალენტების წმინდა ზრდა	97094

ფულისა და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	83359
ფულისა და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	180453

შპს „ტატო 2002“-ის 2022 წ.31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება (ხარჯების ფუნქციების მიხედვით). ასევე შესადარისი პერიოდის.

შენიშვნები	2022	2021
ამონაგები 3	4065953	3496800
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	3140891	2803844
საერთო მოგება	925062	692956
სხვა შემოსავალი	1640	5489
დასაქმებულთა ანაზღაურება	247496	219852
იჯარა	14808	16372
ცვეთა და ამორტიზაცია	11818	10309
საგადასახადო ხარჯები	5233	3804
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	389453	276081
მოგება დაბეგვრამდე	257894	172027
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
მიმდინარე წლის მოგება /ზარალი	257894	172027

გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი წლის დასაწყისში	496280	310603
გადაფასების რეზერვი	10050	13650
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	40500	0
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი წლის ბოლოს	723724	496280

შპს „ტატო 2002“-ის სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ტატო 2002“ ის ძირითადი საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა უაღკოპოლო სასმელებით. საქმიანობის ადგილია თელავი, დ.ადმაშენებლის ქ №39ბ.

საზოგადოების დამფუძნებელი არის :

თამაზ ზათიაშვილი 100%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და სშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS for SMEs) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში :“ლარში“

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეული იქნა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური ვადები :

ოფისის აღჭურვილობა 5-10 წელი

ტრანსპორტი 5 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა , რომ ცვეთის ნორმა აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოდელის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ძირითადი საშუალებების შეფასება, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა , რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია . იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება , ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება , აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-

მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე , მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად , რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება , როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნააკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულები), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასწყისში . მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება, საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. ჩვეულებრივ იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითირიებულიებასა და მისი მიღებისთვის საჭირო დანახარჯების დამატებით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების ამოღების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

მოგების გადასახადი

2017 წლის 01 იანვრის მოგების გადასახადის დაბეგვრის მიზნით მოქმედებს ე.წ. „ესტონური მოდელი“, რის მიხედვითაც საწარმო მოგების გადასახადისგან გატავსიუფლებულია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა:

- ა) ხდება პარტნიორებზე მოგების განაწილება დივიდენდის სახით
- ბ) გაწეულია ხარჯი ან სხვა გადახდა რაც დაკავშირებული არ არის საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება ან ფულადი სახრების გადაცემა
- დ) საგადასახადო კოდექსით დადგენილ ძრვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით წარმომადგენლობითი ხარჯის გაწევა.

3.ამონაგები	2022
	ლარი
საქონლის გაყიდვა	4065953

4. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალს წარმოადგენს სარეკლამო მომსახურებით და უკან დაბრუნებული საშემოსავლო შეღავათით მიღებული შემოსავალი

1640 ლარი

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2022	31.12.2021
	ლარი	ლარი

5.1 სავაჭრო დებიტორები	529302	411265
------------------------	--------	--------

529302	411265
--------	--------

6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	31.12.2022	31.12.2021
	ლარი	ლარი

საქონელი და ნედლეული	188012	147117
----------------------	--------	--------

188012	147117
--------	--------

7. ძირითადი საშუალებები

	არამატერია ლური აქტივი	ტრანსპორტი	ოფისის აღჭურვილ ობა, ავეჯი ინვენტარი	სულ
თვითღირებულება				
31.12.2021	3500	26700	1980	32180
შემოსვლა			290	290
გადაფასება		9000	1050	10050
გასვლა				
31.12.2022	3500	35700	3320	42520
ცვეთა და გაუფასურება		1100	718	11818
31.12.2022				
საბალანსო ღირებულება	3500	24600	2602	30702

8.სავაჭრო ვალდებულებები

2022 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს 201852 ლარს, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრისთვის 173432.

9. სასესხო ვალდებულებები

საწარმოს გაფორმებული აქვს ჩვეულებრივი მოკლევადიანი სასესხო ხელშეკრულებები დამფუძნებელთან

10.ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

საწარმოს გაფორმებული აქვს ჩვეულებრივი საიჯარო ხელშეკრულებები.ამ იჯარის საშუალო ვადა ერთი წელია და ამავე ვადაში გათვალისწინებულია ფისქირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

2022

ლარი

ჩვეულებრივ იჯარით გათვალისწინებული

მინიმალური საიჯარო გადასახდელები,

რომლებიც მიმდინარე წელს აღიარებულია

ხარჯად

14808

11. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

2022

ლარი

ფულადი სახსრები სალაროში

9416

ფულადი სახსრები ბანკში

171037

180453

ანგარიშების პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის თარიღის შემდგომ აღიღი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს , რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შედგენის თარიღი

01.09.2023წ

დირექტორი :

/თ.ზათიაშვილი